საქსტატი
www.geostat.ge

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

უმაღლესი და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების სტატისტიკური მონაცემები

2019

02.03.2020

www.geostat.ge

02.03.2020

უმაღლესი განათლება

(2019/2020 სასწავლო წლის დასაწყისისთვის)

2019-2020 სასწავლო წლის დასაწყისისთვის, საქართველოში 62 უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება ფუნქციონირებდა, აქედან 19 სახელმწიფო და 43 კერძო. წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით, დაწესებულებათა რაოდენობა 1 ერთეულით შემცირდა. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების 60.0% ქალაქ თბილისშია.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების რაოდენობა, 2015/2016-2019/2020 სასწავლო წლებში.

დიაგრამა №1

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების რაოდენობა
(ერთეული)



2019/2020 სასწავლო წლის დასაწყისისთვის, საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ჩარიცხულია 43.2 ათასი სტუდენტი, აქედან სახელმწიფო უნივერსიტეტებში 27.9 ათასი, ხოლო კერძო უნივერსიტეტებში - 15.4 ათასი. სტუდენტთა მიღება, წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით, გაიზარდა 1.6 ათასით. ზრდა ძირითადად კერძო უნივერსიტეტებზე მოდის.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია 2015/2016-2019/2020 სასწავლო წლებში სტუდენტების უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში მიღების მაჩვენებლები.

02.03.2020

დიაგრამა №2

სტუდენტების მიღება უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში
(ათასი)



საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სტუდენტთა რიცხოვნობამ 148.8 ათასი შეადგინა, რაც წინა სასწავლო წელთან შედარებით 0.7%-ით მეტია. სახელმწიფო უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლობს სტუდენტთა საერთო რიცხოვნობის 64.2%, ხოლო კერძოში - 35.8%. სტუდენტთა საერთო რიცხოვნობიდან 50.6% ქალია, ხოლო 49.4% - კაცი.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია სტუდენტების რაოდენობა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში, 2015/2016-2019/2020 სასწავლო წლებში.

დიაგრამა №3

სტუდენტთა რაოდენობა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში (ათასი)



2019 წელს, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება დაამთავრა 24.8 ათასმა სტუდენტმა, რაც წინა წელთან შედარებით 2.0%-ით მეტია. კურსდამთავრებულებიდან 56.7% არის ქალი, ხოლო 43.3% - კაცი. სახელმწიფო უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში კურსდამთავრებულთა რაოდენობა 2.3-ჯერ აღემატება კერძო უნივერსიტეტების კურსდამთავრებულების რაოდენობას.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია კურსდამთავრებულთა რაოდენობა უმაღლესი განათლებით, 2015-2019 წლებში.

დიაგრამა №4

კურსდამთავრებულთა რაოდენობა უმაღლესი განათლებით (ათასი)



02.03.2020

2019-2020 სასწავლო წელს სტუდენტების უდიდესი ნაწილი (16.4%) მოდის 20 წლის ასაკის სტუდენტებზე.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია სტუდენტების რაოდენობა ასაკის მიხედვით, 2018/2019-2019/2020 სასწავლო წლებში.

დიაგრამა №5

სტუდენტების რაოდენობა ასაკის მიხედვით

(ათასი)



2019/2020 სასწავლო წლის დასაწყისისთვის, საზღვარგარეთ სასწავლებლად გაიგზავნა 656 სტუდენტი, რაც 17 სტუდენტით ნაკლებია წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით. სახელმწიფო უნივერსიტეტებიდან გაგზავნილი სტუდენტების რაოდენობა თითქმის 2.9-ჯერ აღემატება კერძო უნივერსიტეტებიდან გაგზავნილ სტუდენტთა რაოდენობას.

უცხოელ სტუდენტთა რიცხოვნობამ, საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში, 13.3 ათასი შეადგინა, რაც 8.9%-ით მეტია წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია საზღვარგარეთ სტუდენტთა გაგზავნის და საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში უცხოელ სტუდენტთა რაოდენობის მაჩვენებლები 2019/2020 სასწავლო წელს.

დიაგრამა №6

სტუდენტთა გაგზავნა საზღვარგარეთ და უცხოელ სტუდენტთა რიცხოვნობა
(2019-2020 სასწ.წ., კაცი)



უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში დასაქმებულია 9.9 ათასი პროფესორ-მასწავლებელი, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით 4.5%-ით მეტია. პროფესორ-მასწავლებელთა 54.3% არის ქალი, ხოლო 45.7% - კაცი. მათი უდიდესი ნაწილი, 36.2% არის ასოცირებული პროფესორი.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია პროფესორ-მასწავლებელთა რიცხოვნობა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში 2019/2020 სასწავლო წელს.

დიაგრამა №7

პროფესორ-მასწავლებელთა რიცხოვნობა
უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში
(2019-2020 სასწ.წ., კაცი)



2019 წლის მონაცემებით, სადოქტორო პროგრამებს ახორციელებდა 32 უნივერსიტეტი (2018 წელთან შედარებით არ შეცვლილა). აღნიშნულ უნივერსიტეტებში მიღებული დოქტორანტების რიცხოვნობა, წინა წელთან შედარებით, თითქმის 20,0%-ით გაიზარდა და 1 322 პირი შეადგინა. შესაბამისად, გაიზარდა დოქტორანტების საერთო რიცხოვნობა და 3 976 შეადგინა, რაც 13.2%-ით აღემატება წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია დოქტორანტების განაწილება სადოქტორო პროგრამების მიხედვით, 2019 წელს.

(ცხრილი №1)

დოქტორანტების განაწილება სადოქტორო პროგრამების მიხედვით

(2019 წელს)

	რაოდენობა	%
დოქტორანტები, სულ	**3 976**	**100.0**
განათლება	78	2.0
ჰუმანიტარული მეცნიერებები და ხელოვნება	557	14.0
სოციალური მეცნიერებები, ბიზნესი და სამართალი	1 884	47.3
მეცნიერება	478	12.0
საინჟინრო, დამამუშავებელი და სამშენებლო დარგები	407	10.2
სოფლის მეურნეობა	86	2.2
ჯანდაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	419	10.6
მომსახურება	67	1.7

2019 წელს სადოქტორო პროგრამებზე მიღებულთა რაოდენობის ზრდა სოციალური მეცნიერებების, ბიზნესისა და სამართლის პროგრამაზე დაფიქსირდა. 2019 წელს აღნიშნულ პროგრამაზე, როგორც მიღებულ დოქტორანტთა (380), ისე კურსდამთავრებულთა (113) უმეტესობა ქალია.

წინა წელთან შედარებით, კურსდამთავრებული დოქტორანტების რიცხოვნობა უმნიშვნელოდ გაიზარდა და 487 პირი შეადგინა. ზრდა აღინიშნა ძირითადად ჰუმანიტარული მეცნიერებებისა და ხელოვნების და მომსახურების დარგების სადოქტორო პროგრამებზე.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია დოქტორანტურის კურსდამთავრებულთა განაწილება პროგრამების მიხედვით, 2019 წელს.

დიაგრამა №8

დოქტორანტურის კურსდამთავრებულთა განაწილება პროგრამების მიხედვით 2019 წელს



2019 წელს კურსდამთავრებულ დოქტორანტთა საერთო რიცხოვნობიდან 56.3% ქალია, ხოლო 43.7% - კაცი.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია დოქტორანტურის კურსდამთავრებულთა რაოდენობა სადოქტორო პროგრამების მიხედვით სქესობრივ ჭრილში, 2019 წელს.

(ცხრილი №2)

დოქტორანტურის კურსდამთავრებულთა განაწილება სქესის მიხედვით, 2019 წელს

(კაცი)

	ქალი	კაცი
კურსდამთავრებულები, სულ	**274**	**213**
მათ შორის:		
განათლება	6	1
ჰუმანიტარული მეცნიერებები და ხელოვნება	55	32
სოციალური მეცნიერებები, ბიზნესი და სამართალი	113	74
მეცნიერება	42	28
საინჟინრო, დამამუშავებელი და სამშენებლო დარგები	21	47
სოფლის მეურნეობა	4	4
ჯანდაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	31	14
მომსახურება	2	13

ზრდა აღინიშნა დოქტორანტების სამეცნიერო ხელმძღვანელების რიცხოვნობაში, რაც განპირობებულია დოქტორანტების რაოდენობის ზრდით. ამასთან, რიგ შემთხვევებში დოქტორანტს ყავს 2 ხელმძღვანელი: ქართველი და უცხოელი.

2019 წელს, ისევე როგორც წინა წლებში, ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით, დოქტორანტთა საერთო რაოდენობიდან დიდი ნაწილი მოდის 35 წლის და უფროსი ასაკის ასაკობრივ ჯგუფზე.

2019 წელს გაზრდილია უცხოელი დოქტორანტების რაოდენობა. უცხოელი დოქტორანტებიდან 61.9% კაცია, ხოლო 38.1% ქალი.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია უცხოელი დოქტორანტების რიცხოვნობა სქესობრივ ჭრილში, 2018-2019 წლებში.

დიაგრამა №9

უცხოელი დოქტორანტების რიცხოვნობა სქესის მიხედვით
(კაცი)



პროფესიული განათლება

2019 წლის ბოლოსთვის, საქართველოში ფუნქციონირებდა 105 საგანმანათლებლო დაწესებულება (აქედან 43 საჯარო, ხოლო 62 კერძო), რომლებიც ახორციელებდნენ სტუდენტების მიღებას პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე.

2019 წელს ჩარიცხულია 11 529 სტუდენტი, რომელთაგან 47.8 % ქალია, ხოლო 52.2 % - კაცი. 2018 წელთან შედარებით სტუდენტების მიღება შემცირებულია 2.5 %-ით.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია ჩარიცხული სტუდენტების განაწილება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით, 2019 წელს.

დიაგრამა №10

ჩარიცხული სტუდენტების განაწილება პროგრამების მიხედვით



რაც შეეხება მონაცემებს რეგიონების მიხედვით, ჩარიცხული სტუდენტების მიხედვით ლიდერობს ქ. თბილისი (46.6 %), რომელსაც მოსდევს აჭარა (24.5 %), იმერეთი (7.0 %), კახეთი (4.4%), სამეგრელო-ზემო სვანეთი (6.8 %) და სამცხე-ჯავახეთი (3.1 %).

2019 წელს, კურსდამთავრებულთა რიცხოვნობამ შეადგინა თითქმის 11 ათასი სტუდენტი, რომელთაგან 49.9% ქალია და 50.1% კაცი. 2018 წელთან შედარებით კურსდამთავრებულთა რიცხოვნობა შემცირებულია 8.6 %-ით. მათი უმეტესობა მოდის ინჟინერიის (28.6%), ჯანდაცვის (15.7%) და ბიზნესის ადმინისტრირების (16.5%) პროგრამებზე.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია კურსდამთავრებულთა განაწილება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით, 2019 წელს.

დიაგრამა №11

კურსდამთავრებულთა განაწილება პროგრამების მიხედვით



კურსდამთავრებულთა რიცხოვნობა რეგიონების მიხედვით შემდეგნაირად ნაწილდება: ქ. თბილისი (40.6 %), აჭარის არ (22.5%), იმერეთი (11.2%), სამერელო-ზემო სვანეთი (5.3%):

დიაგრამა №12

კურსდამთავრებულთა განაწილება რეგიონების მიხედვით



საკონტაქტო პირი:

ვასილ წაქაძე
ტელ: (+995 32) 236 72 10 (600)
ფაქსი: (+995 32) 236 72 13
ელ. ფოსტა: vtsakadze@geostat.ge